1919

ნაპიდუღი

ყაზვაბაგიანლო ჟურნალი

· მცირე წლოვანთათვის ·

აპრილი.

№ 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერაწული

წელიწადი მე-VIII. № 7 აპრილი, 1912 წ.



4 335

საბჭოთა საქართველოს ეროვნული მუზეუმი * ტფილისი *

შინაარსი:

I—აყვავებული ალუბლის ტოტი, იაპონური სურათი—
კო—ხოსი 1

II—მურია, მელა და ბებია,—ირ. ევდოშვილისა. . . 3

III—ჩიტუნების სასადილო,—ბიძია გოგისა . . . 7

IV—ანგარიშის გაკვეთილზე,—ლეო იმნაძისა. . . 10

V—დედის სიყვარული,—(თარგმ.) მ. კლიმიაშვილისა. . 17

VI—როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან,—
შემდეგი (გაგრძელ.), გ. ანთელიძისა 18

VII—გასართობი: რებუსი და აღსნა 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.

მურია, მელა და ბეგია.



ე ეს ამბავი მიამბო
კაჭკაჭმა, ენა-წელიანმა;
სიმართლე დაადასტურა
ოფოფმა საკარცხლიანმა.
თუნდ დაიჯერეთ, თუნდ არა,
იეო და არა იეო-რა,
არც სპილო, არც-თუ ლომ-ვეფხვი,
არც თხა და არც თუ ნიკორა;
მისი სახელი თქვენც იცით:
ეოველ ეზოში სწერია;
თვით ეზოშიაც მრავალჯერ
კინკილით გაურბენია.
იმასა ჰქვიან მურია,
გვარად-კი ქსიქსიაური,
ღამ-ღამე თეოზე მიდის,
დღისიი აქვს აურ-ზაური.
ტანს შავი ჩოხა აცვია,
არ მიუცია შაური;
ენაცვლის მჭადის კუტებსა:

არ უეკარს ჭაჭანაური!
იმისი ქება შორს ისმის:
ეზოს თავიდამ ბოლომდე
შველივით გადაფრინდება,
ანწლიდან იქავ ღოლომდე.
ასლა დასჭირდათ მის მოძმეთ
მისი მხარ-ბეჭის უნარი.
შეიქმნა ფრინველთ თათბირი:
თუ რა აქვს დასაწუნარი;
ვერვინ ვერა სთქვა ცუდი რამ,—
სუეველას მოეწონება;
თქვენგან არ მიკვირს,
მურია ვის სად არ გაეგონება!
იმათაც დაადასტურეს,
ერთს აზრს დაადგნენ ყველანი:
მურიასაკენ აფრინონ
ელჩი და კარგი მერანი.
სთქვეს, გადასწყვიტეს, შეუდგნენ
საქმესა საჭოჭმანებსა.
ნეტა ვინ მოეწონება
იმ გმირთა-გმირის თვალებსა!
ბოლოს არჩიეს: მერანად
შეკაზმონ ბატი ჭრელია,
ელჩად ეიულიეო წავიდეს,
კაი ხმის ამოთქმელია,
და გაუყენეს ორნივ გზას.
მერანი, მოგეხსენებათ,
იორღა არი, ეიულიეოც
თვითონ ღირს თავის წვერებად.
ბატი მოკაზმეს, საკაზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარს ოქროთ მონაჭედია;
ელჩს მისცეს გმელი უსტარი,—
მით დაუმშვენეს მკერდია.
მიდის მერანი, ეიეინებს,
ცხენის ჭიხვინი ჰგონია;
ელჩი ეიულიეოს იმახის:
ქათმებს ჰგონიათ ქორია.
გავიდნენ, ეზოს გასცილდნენ,
ბოსტანს მიადგნენ რამესა;
ნახეს კომბოსტო მრავალი,
კიტრიც ბლომადა ჭამესა;
მადლობას სწირავენ უფალსა,
ჰლოცავენ არე-მარესა,
და აქ გამმღარნი, აქავე
უთევენ ორნივ ღამესა.
ღამეა, მაგრამ რა ღამე!
თვალი ვერ ჰხედავს ვერასა:
კოკის პირული წვიმაა,—
გუბე იტაცებს მერანსა.
ელჩი შავ ფიქრმა მოიცვა:
არსად წაეაწედე მელასა;
ლოცულობს: ღმერთო, პირჯვარი
შენ გადაგვწერე ეველასა!
მაგრამ ჰე, ბედო, შავ-ბედო,
ავეიავ, ბედის-მწერალო:
ზოგისთვის თვალზე ცრემლებო,
ზოგისთვის ტკბილად მღერალო!
რა დააშავეს ამ ორმა,
რით წაიწუმიდეს სულია,
რომ მელამ უკვე აიღო

შორიდან მათი სუნია.
მოდის ულვაშა ნაბ-ნაბით,
ეზოს ვერ შევა შიშითა,
იქ ყარაული მურაა,
ძვალზე ნალესი კბილითა;
ბევრჯელ უცვლია იმისთვის
ფერი დაღრეჯილ ჰირითა.
ქათიბს უფრთხილდი, მელიკო,—
არ აგიღია ქირითა!
ბოსტანში მოისუნსულა,—
იქ ბატის ნაჩლიქარია;
კიტრებში შეეო კისერი
მამალს დაუკრავს მხარია;
ულვაშში ჩაიღიმილა:
რაღა აქვს საწუხარია?
ჭაი, ჭაი, რო ესოდენ
აროდეს გაუხარია!

*
* *

შუა ღამეა. თეთრ მერანს
კისერი მოუგრეხია,—
ცალზე დგა, ცალი-კი მაღლა
აუშვერია ფეხია;
ელჩი ატამის ტოტზე ზის,
ქარს რომ ძირს ჩაუტეხია,
და უხარიან, რომ კარგი
გამოიგონა ხერხია.

ირ. ევდოშვილი.

ჩიტუნეგის სასადილო.

ვა ლამაზები და მალხაზები არიან ჩიტუნები! მთელი დღე გაეაქვთ ჭიკჭიკი და ჩვენ სმენას ატკბობენ. აი ახლა გაზაფხულია და ჩიტუნების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მალე ჩიტუნები გაიკეთებენ ბუდეს, გამოსჩეკავენ და დააფრენენ ჰაწაწა ბარტყებს. რა ცოცხალ ქრიამულს ასტეხენ ხოლმე ჩიტუნები, როცა თავიანთ ბარტყებს ფრენას ასწავლიან! ბარტყები ფრენას ისე ადვილად ვერა სწავლობენ; ბევრი მათგანი ჩამოვარდება ხოლმე მიწაზე. ჩამოვარდნილ ბარტყს ხშირად ბავშვები იჭერენ და აწვალებენ. საწყალი ბარტყები განა ცოდონი არ არიან? ჩიტუნებს მოფერება უნდა. სხვა ქვეყნებში ბავშვები ძალიან უვლიან ჩიტებს: ერთმანეთს აძლევენ ჰირობას, რომ ჩიტებს არც ბუდეს დაუშლიან, არც ბარტყებს ამოუსხამენ, არც დახოცავენ, არც გალიაში დაამწყვდევენ. და მართლაც ეს ბავშვები არავის აძლევენ ნებას, რომ ჩიტუნებს რაიმე ვნება მიაყენონ: ჩიტუნები ბავშვების მფარველობის ქვეშ არიან ჩიტუნების მფარველი ბავშვი ატარებს ნიშანს, რომელზედაც გამოსა-



ნიშანი, რომელსაც ჩიტ. მფარ. ბავშვები ატარებენ.

ტულია მფრინავი მერცხალი. ამ ნიშნით ბავშვები ერთმანეთს ცნობილობენ.

არა მარტო გაზაფხულზე, არამედ ზამთარშიაც უწევენ ბავშვები მფარველობას ჰაწია ჩიტუნებს. ზამთარში საწყალი ჩიტუნები დიდ გასაჭირში არიან: სცივათ, სწყურიათ, ჭშიათ. ბევრი ჩიტუნია გაუყინია სუსხიან ზამთარს. ბავშვები, როცა იპოვიან გაყინულ ჩიტს, გაათბობენ, მოასულიერებენ; ხშირ-ხშირად დაუყრიან ხოლმე საკენკს ჩიტუნიებს; დიდ ქალაქებში მოედნებზე, ბაღებში უმართავენ სასადილოებს. აქ დაბეჭდილ სურათზე ერთი ამისთანა სასადილოა წარმოდგენილი. მიწაში დამაგრებულია ბოძი, რომელზედაც ფიცარია დაკრული. ამ ფიცარზე ბავშვები ჩიტუნებს საკენს უყრიან. სა-

კენკის დასაყრელ ფიცარს ზემოდან სახურავს უკეთებენ, რომ საკვები თოვლმა არ გააფუჭოს. გამვლელ-გამომვლელი ბავ-

შვები უერიან ხოლმე ჩიტუნებს ამ ფიცარზე საკენკს და ამ-გვარად ჰკვებავენ ცივ ზამთარში.

ჩემო ბატარა მკითხველო, გაზაფხული ჩიტუნების დღესასწაულია; ოდი ამ დღესასწაულს ნუ ჩაუშხამებ: დაუდევი შენ თავს ბირობა, რომ ჩიტუნების მფარველი იქნები; ურჩიე შენ ამხანაგებსაც გამოესარჩლონ ჩიტუნებს, არ დახოცონ, არ დაუშალონ ბუდე, არ ამოაცალონ კვერცხები, არ ამოუსხან ბარტყები. ჩიტუნები თავისი მსიარული ჭიკჭიკით გვალხენენ; ამას გარდა ისინი ხოცავენ აუარებელ ჭია-ღუას, რომელსაც დიდი ვნება მოაქვს. მაშ იმედი მექნება, რომ შენ, ჩემო ბატარა მკითხველო, მუდამ დაიფარავ და გამოესარჩლები ჩვენ ბაწია ფრთოსან მეგობრებს *).

ბიძია გოგი.



*) თუ „ნაკადულის“ მკითხველებიც შეადგენენ ამგვარ ჩიტების მფარველ საზოგადოებებს, რედაქცია სიამოვნებით დაბეჭდავს ანგარიშებს და შთაბეჭდილებებს და გაუწევს ყოველნაირ დახმარებას.



ანგარიშის გაკვეთილზე.

(უძღვნი ჩემ დას თამარს).



ათენდა. ცხოველ-მეოფელმა მზემ მო-რცხვად ამოაშუქა ცის კიდურზე და თავისი ბრწყინვალე სხივები სამყაროს სტეორცნა.

ყველაფერი ანმაურდა; ყველამ სია-მოვნებით ამოისუნთქა და საერთო ფერხულში ჩაება.

რამდენიმე სხივი მოხვდა გიორგის ისლით დახურულ პატარა ფაცხის პირ-დაღებულ კედლებს; ერთი პირ-და-პირ მძინარე გიორგის სახეს მოხვდა და დილის ტკბილი ძილი დაუფრთხო.

გიორგიმ თვალები მოიფშვნიტა, ერთი ღონივრად გაი-ზმორა და იქვე ტახტის ბოლოზე მძინარე ბავშვს ღვიძება დაუწყო:

— დარეკანა, გოგო, დარეკანა! ადე, ცეცხლი დაანთე კე-რიაზე; სულის ჩადგმა რომ არ იქნა შენი: ამდენი ძილი გა-გონილა?—რა ხანია გათენებულა.

—აცადე, კაცო: ბაღანას თელი ღამე არ უძინია წუხე-ლის, — გათენებამდის კითხულობდა, — გამოექომაგა შვილს გიორგის ძახილზე გაღვიძებული ელისაბედი.

ადგა და ტანთ ჩაცმა დაიწყო.

—იკითხა, თვარა ფილოსოფოსი არ გამოვიდეს;—ნავთი არ დაგეწვევინებია, უფრო ჭკუას იზამდი,—საუვედურით სთქვა გიორგიმ.

—მოდი და ჰკითხე კაცმა ამას ჭკუა,—გულ-მოსულად ჩაილაპარაკა ელისაბედმა.

—აბა კლასის ფულს რას იზდი, სწავლას თუ არ აცლი ბავშვს?

—კი—ვაცლი, მაგრამ დღე იკითხოს: ღამე ძილისათვის გაუჩენია ღმერთს.

—დღე სადა სცალია: აქეთ-იქით ვარბენინებ; მეცოდება, მაგრამ რა ექნა: მოსამსახურე გოგოც ის არის ჩემთვის და ბიჭიც.

ამ ლაპარაკში დარეჯანი უკვე ადგა, თავ-ჩაღუნული იდგა და დედ-მამის ლაპარაკს ეურს უგდებდა.

მამის სიტყვებმა საშინლად დაადონეს იგი, ფიქრები აღუძრეს: აშკარად გრძნობდა მამის სიტყვების უსამართლობას, მაგრამ რა ექნა, როგორ გაუბედავდა და ეტყოდა რასმე მამას. დარეჯანი იმნაირად იყო აღზრდილი, რომ მამას სიტყვას ვერ შეუბრუნებდა: ფიქრები თავის გულშივე უნდა ჩაეკლა.

—წადი, შვილო, დოქით წყალი მოიტანე ჭიდან და მერე ტასოსთან მიირბინე, ერთი ინჯრა ფქვილი მასესხე-თქო: სადილისათვის მჭადი არ მაქს; მაგიერში, რომ მოხვალ, ცხელ კვერს და ყველს დაგახვედრებ, კლასში მაინც არ დაგაგვიანდება:—ორ ვერსს ჩქარა გაირბენ,—უთხრა ელისაბედმა ფიქრებში წასულ დარეჯანს.

დარეჯანი ფიქრიდან გამოერკვა, მარდად წამოუსვა ხელი საწელე დოქს და გარედ გავარდა.

იანვრის დილის ცივი ჰაერი საამოდ მოხვდა სახეზე ბატარას, მსწრაფულ მთელ სხეულში დაუარა და რაღაც სიამოვ-

ნება აგრძნობინა. დარეჯანმა ასწია თავი მაღლა და კიდევ უფრო ხარბად მიუშვირა სახე ცრილ სიოს.

ამ წუთში დარეჯანი თითქოს ბედნიერად გრძნობდა თავს და წელანდელი უკმაყოფილების კვალიც აღარ დარჩენილიყო მის გულში. იქავე ეზოს ბოლოში ჰატარა ნაკადული მირაკრაკებდა; მისი ცოცხალი, მხიბლავი რაკრაკი კიდევ უფრო ამხიარულებდა დარეჯანის გულს და ფრთა-შესხმულ ანგელოზივით მიაფრიალებდა.

ჰატარა ხანს შემდეგ, როცა დარეჯანი დაბრუნდა, ცეცხლში ჩასაგდებად გამზადებული მოზელილი ცომი იქვე გობზე ცეცხლის ჰირად დაუხვდა: ეტყობოდა, დედას ვეღარ მოესწრო მისი ცეცხლში ჩაგდება.

სიმშილისაგან კუჭ-დამწვარი ბავშვი მივიდა კუთხეში, ჩამოიღო თაროდან თავისი წიგნებიანი ჩანთა და დაღონებული სკოლისკენ გაემართა.

— დარეჯანა, დედა! მიდი, ბაღანაი ამოიყვანე აკვნიდან და მერე წადი!—მიაძახა მიმავალ დარეჯანს ელისაბედმა, რომელიც დამკლავებული სახლს უკან ძროხას სწველიდა.

დარეჯანი უსიტყვოდ მობრუნდა, დააწყო წიგნები მაგიდაზე, ჩამოჯდა ჰატარა სამფეხა სკამზე და შეუდგა ატირებულ ბავშვის დამშვიდებას.

ბავშვმა, როგორც-კი იცნო ჰატარა დაიას ნაცნობი ალერსიანი ხმა, სწრაფად გაჩუმდა და ტირილის მაგიერ სიცილს და ხტუნვას მოჰყვა... მალე სახლში დედაც შემოვიდა და დარეჯანს ცივი მჭადის ნატეხი და ცოტა ყველი შემოუტანა.

— მოგიკვდა, შვილო, დედა: კვერი ვეღარ გამოგიცხვე; მაგრამ, რომ მოსვალ, კარგს სადილს დაგახვედრებ,—უთხრა დედამ დარეჯანს და ბავშვი გამოართვა.

დარეჯანმა მჭადი და ყველი ჩანთაში შეინახა და სიჩქარეოდ სკოლისკენ გაემართა. მიდიოდა დარეჯანი ქალაქისკენ

მიმავალ დიდ შარა გზაზე და დილის ცივი სუსხი თან-და-თან უმკერდა სელებსა და ფეხებში;—მკლავზე ჩამოკიდებული ჩანთა უდარდელად მიექანავებოდა ამ მოძრაობის დროს: ხან ერთ მუხლს მოხვდებოდა, ხან მეორეს.

ტიტველა მუხლები სიცივისგან დასწითლებოდა; იმათ ვერა ჭეარავდა ვერც მიხაკის ფერი, რამდენიმე ადგილას დაკერებული, მოკლე კაბა, ვერც თხელი წითელი ბამბის ჩულქები, რომლებიც წვივს ზევით მჩვარით შეეკრა. შავ-ტეავის დახეულ წულის წვერებიდან ფეხის თითები უჩანდა.

ჰატარა გოგონა დინჯ დედაკაცსავით დაფიქრებული მიდიოდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორ იმტერეოდა მის ფეხ-ქვეშ გაეინული მიწა; მხოლოდ დრო-გამოშვებით უნებურად შეატეაჰუნებდა ჰატარა ფეხებს სისხლის ამოსაძრავებლად, ან როგორც თვითონ ამბობდა—გასათბობად.

ქუჩის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო კოჰწია, ლამაზად შეღებილი სახლები, რომლის სახურავები, თითქოს თეთრი ბოხოხი ხურავთო, ეინვას გადაეთეთრებინა.

ბუსრების ჰაწია საკვამლეებიდან თეთრი კვამლი ამოდიოდა და ჭაერში ნაზად იფანტებოდა.

—რა კარგი უნდა იყოს იმ სახლში ყოფნა?—აი, როგორც ჰატარა ბუტასა აქვს,—გაიფიქრა დარეჯანმა, როცა ამ ლამაზ-კოხტა სახლებს თვალი გადაავლო.

ასეთი ფიქრები ხშირად მოსდიოდა თავში, როცა ამ ქუჩაზე გაივლიდა ხოლმე:

—ზისარ შენთვის მოსვენებით გაჩირაღდნებულ ოთახში და კითხულობ გაივეთილებს; არაფერი ხელს არ გიშლის: არც ცეცხლის ნთება, არც წულის ზიდვა, არც მეზობლისას მირბენ-მორბენა, არც ბავშვის რწევა...

ამ უკანასკნელ ფიქრზე დარეჯანმა ტუჩებზე მუშტი დაირტყა და სასოებით წარმოსთქვა: „ღმერთო, შეგცოდე,—ღმერ-

თო, შეგცოდე. ამას რას ვამბობ; ვენაცვალე: გოგლიკოს რწევა, სადაც უნდა ვიყო და როგორც, მაინც არ მომწყინდება. რა საკვირველია, ისე რომ ვცხოვრობდე, როგორც ბუტა ცხოვრობს, ეოველთვის მეცოდინება გაკვეთილი; ბუტამ-კი არ იცის. ბუტას მამა მდიდარია და ჩემი-კი—ღარიბი.

სიღარიბის სსენებაზე დარეჯანს თავისი ფაცხა წარმოუდგა. ფაცხის შუა გულში ანთებული ცეცხლი, რომლის გამო სახლში მუდამ კვამლი იდგა და თვალებს უცრემლიანებდა ყველას. გაკვეთილებიც საღამოს ცეცხლთან უნდა ესწავლა დარეჯანს; დაჯდებოდა მაღალ სამფეხა სკამთან, რომელზედაც ჭრაქი იდგა და კითხულობდა გაკვეთილებს. ვაი ამისთანა კითხვას: თვალები მუდამ ცრემლებით ევსებოდა; ამასთანავე მთელი ოჯახი დაწოლამდე ამ ცეცხლთან იკრიბებოდა. ბავშვის ტირილი, დიდების ლაპარაკი არეული იყო ერთმანეთში და რასაკვირველია სწავლაში ხელს შეუშლიდა, და ამიტომ იშვიათად იცოდა გაკვეთილი. დიდის სიამოვნებით იკითხავდა დარეჯანი წიგნს ამ კვამლში ღამ-ღამობით, მაგრამ მამის ეხათრებოდა: მამა ხშირად დარდობდა, ბევრი ნავთი იხარჯებაო.

დარეჯანს გულს უკლავდა ეს გარემოება და ხშირად ატირებულა, მაგრამ შინ არასოდეს ატირებული არ მოვიდოდა: როგორ გაამხელდა, გაკვეთილი არ ვიცოდიო; მაშინვე სკოლ. დან გამოიყვანდნენ და მას-კი უნდოდა სწავლა. იმას-კი არავინ კითხულობდა, თუ როდის ესწავლა ბავშვს გაკვეთილები. ამ ბატარა ბავშვისაგან თითქოს გულთმისნობას თხოულობდნენ: მთელი დღე საქმე უნდა ეკეთებინა, აქეთ-იქით უნდა ერბინა და ამასთან გაკვეთილებიც უნდა ესწავლა. ბავშვი გრძნობდა ამ უსამართლობას, მაგრამ თქმა არ შეეძლო და თავის მწუხარებას მხოლოდ ცრემლების ფრქვევით გამოხატავდა.

წუხელისაც დარეჯანმა გადასწყვიტა, რაც უნდა გაჯავრე-

ბულიეო მამა, ყველანი რომ დაიძინებდნენ, გაკვეთილები უთუოდ ესწავლა. სთქვა და ასრულა კიდეც; მაგრამ დღეს ისეთი გულის მომკვლელი საუბარი მოისმინა, რომ არ იცოდა შემდეგში როგორ მოიქცეოდა. როცა დარეჯანი სკოლას მიუახლოვდა, გულმა საშინლად დაუწყო ძგერა: რაღაც გამოურკვევლად უძგერდა;—თან საშინლად უხაროდა დარეჯანს სკოლაში სიარული და სწავლა, თან ეზარებოდა—ეზარებოდა მუდამ დღე ტუქსვა მასწავლებლისაგან.

სწავლა ჯერ არ დაწყებულიეო: ბავშვები გუნდ-გუნდად დადიოდნენ სასწავლებლის ეზოში და სხვა-და-სხვა ამბებს უამბობდნენ ერთმანეთს.

დარეჯანმა მორცხვად ჩაუარა ბავშვებს და საკლასო ოთახში შევიდა. ის იეო წიგნები შეალაგა მაგიდის ქვეშ, რომ კლასის ზარმა მსიარულად დაიწკრიალა. ბავშვებმაც იწყეს ოთახში შეგროვება და თავ-თავიანთ ადგილის დაჭერა.

მასწავლებელიც შემოვიდა და სწავლა დაიწყო.

—ბავშვებო! აბა ვინ მეტვეის გაკვეთილს?—შეეკითხა მასწავლებელი ბავშვებს, როცა ბავშვებმა ლოცვა სთქვეს და სკამებზე დასხდნენ.

—ნიტაიშვილო, შეენ?—განცვიფრებით წარმოსთქვა მასწავლებელმა, როცა შეხედა დარეჯანს, რომელიც სხვებთან ერთად მაღლა სწევდა თითს.

—ფარსაგი *) არაა, რაღაცა სხვანაირი დღეა დღეს,—განაგრძობდა მასწავლებელი:—მაშ აბა გამოდი დაფასთან!

ბავშვებმა სიცილი ასტეხეს და გაბრწინვებული თვალებით დარეჯანს მისჩერებოდნენ, თითქოს გაკვეთილი ყველას კარგად სცოდნოდეთ.

*) გურიაში ხმარობენ ამ სიტყვას, რომელიც ნიშნავს—უცნაურ, საკვირველ ამბავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარცხვენილი დარეჯანი წამოვიდა დაფისკენ, აიღო ცარცი და თავ-ჩაღუნული გაჩერდა.

— ნიტაიშვილო, აბა მითხარი: ორჯერ ოცდა-ხუთი რამდენია?—მკაცრად შეეკითხა მასწავლებელი დარეჯანს.

დარეჯანი გასწორდა, შავი, დიდრონი თვალები მასწავლებელს მიაპყრო და სწრაფად მიუგო:

— ორჯერ ოცდა-ხუთი იქნება,—ორმოცდა-ათი!

— ხუთჯერ ოცი?

— ხუთჯერ ოცი იქნება ასი,— მკვირცხლად მიუგო დარეჯანმა.

— ეოჩაღ!—მოუწონა მასწავლებელმა. მეორე კითხვას მესამე მოჰყვა, მესამეს—მეოთხე, მეხუთე...

დარეჯანი უკან არ იხევდა და შეუცდომლად უპასუხებდა.

— ეოჩაღ,—ეოჩაღ!—უწონებდა განცვიფრებული მასწავლებელი:

— გასაოცარია, გასაოცარი,—როდის აქეთ გამოიცვალე შენ, ნიტაიშვილო, რომ ასე კარგად გისწავლია გაკვეთილი?

დარეჯანი ისევ მორცხვად იდგა და იატაკს მისჩერებოდა.

ბავშვებმა შესწვიტეს სიცილი და გაკვირვებით შესცქეროდნენ დარეჯანს.

ლეო იმნაძე.





დედის სიყვარული.



ერთ სოფელს ცეცხლი გაუჩნდა და რამდენიმე სახლი გადიწვა. ერთ სახლის ეზოვარში ეარუატს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. ცეცხლი ამ სახლსაც მოედო.

დედა ეარუატს თავის ბარტუების გადარჩენა უნდოდა. ბარტუები ჯერ დაფრთიანებული არ იუვნენ. ბირით კი დედამ ბუდიდან მათი ამოუვანა ვერ მოახერხა.

ცეცხლი თან-და-თან ძლიერდებოდა და ბოლოს მთელი ეზოვარი ალში გაეხვია. ეარუატმა, რომ ვერარაფერი მოახერხა, ჩაჯდა ბუდეში, ბარტუებს თავისი ფრთები გადააფარა და თავის ძვილებთან ერთად ცეცხლში დაიწვა.





როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

(შემდეგი).

4. მფარველი ფერი.



ამცველი იარაღი ცხოველებს მტრებისგან იფარავს. ჩქარი სირბილი საშვალებას აძლევს სწრაფად განშორდნენ მტერს; თავის დასახიჩრება შველის ზოგ ცხოველს მტერს თავი დააღწიოს. ყველა დასახელებულ საშვალებებს ცხოველები მიმართავენ ხოლმე მაშინ, როცა იმათ მტერი შეამჩნევს, დაინახავს. მაგრამ ეს სხვა-და-სხვა საშვალებანი საჭირონი ადარ არიან, თუ ცხოველს შეუძლია მტერს დაემალოს ისე, რომ ვერ შეამჩნიოს, ვერ დაინახოს. ისეთი თვისება, რომელიც მნელ-შესამჩნევადა ხდის ცხოველებს, ბევრ იმათგანს აქვს: ეს თვისება არის ისეთი ფერი, რომელსაც მეცნიერები მფარველ ფერს უწოდებენ.

მწვანე ფოთოლზე მჯდომარე ხის ბაღლინჯო მნელი დასანახია, რადგან ის ფოთოლსავით მწვანეა. რუხი ანუ მოშავო ხვლიკი, როცა ამ ფერისაგან კლდეზეა წამოსკუპებული, შეიძლება მხოლოდ მაშინ გავარჩიოთ, თუ ძალიან დავაცქერდებით.

მფარველ ფერს ცხოველებისათვის დიდი მნიშვნელობა

აქვს. თუ გნებავთ ეს ნათლად წარმოიდგინოთ, საჭიროა ტეეში ან მინდორში გაისეირნოთ. იქ თქვენივე თვალით ნახავთ, რომ ბევრი ცხოველი სწორედ იმ ფერისაა, რა ფერისაც ის არეა, სადაც ეს ცხოველი ცხოვრობს. უნდა მოძებნოთ ხეზე ან ბუჩქზე რომელიმე მწვანე ჭია, ან მწვანე ბაღლინჯო, და მაშინ დარწმუნდებით, თუ ეს რა მნელი საქმეა.

ვსთქვათ—ვარდის ბუჩქს მიუახლოვდით; თვითეულ მის შტოს, ფოთოლს აცქერდებით: გინდათ იპოვოთ ჭია, რომელიც იმაზე ზის; გაფაციცებით ეძებთ და უცბად დაინახავთ, რომ სწორედ იმ ადგილას, რომელსაც თქვენ რამდენჯერმე გადაავლეთ თვალი, მწვანე ჭია ზის. გიკვირთ, რატომ ვერ შენიშნეთ იგი; მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია! იმას იფარავდა იმისი მწვანე ფერი, რომელიც მწვანე ფოთლებში მჯდომარე ჭიას შეუმჩნეველად ხდიდა.

აი თქვენ დაიჭირეთ ჭია, მაგრამ, ვსთქვათ, ის ხელიდან გაგისხლტათ და მწვანე ბალახში ჩავარდა. „სად წამიეა, მიწას ხომ ვერ გასთხრისო,"—ფიქრობთ თქვენ: მაგრამ იმას თქვენ ისე ადვილადაც ვეღარ იპოვნით. ეოველ შემთხვევაში დიდ ხანს ძებნა დაგჭირდებათ.

მფარველი ფერი განსაკუთრებით განვითარებულია მწერთა შორის, მაგრამ ამ შესანიშნავ თვისებას ბევრი სხვა ცხოველიც არ არის მოკლებული.

ავიღოთ უდაბნო. უდაბნო ისეთ ადგილს ჰქვიან, რომელიც მოკლებულია წყალსა და მცენარეულობას. ასეთი ადგილები უმთავრესად ქვებითა და ქვიშითაა დაფარული. უდაბნოში მოიპოვება ბევრი სხვა-და-სხვა ფრინველები და ცხოველები; ეველა იმათ ერთნაირი ფერი აქვთ,—უდაბნოს ქვისა და ქვიშის ფერი. უდაბნოში ერთი პატარა ჩიტი ცხოვრობს, ქვიშის ფერისა. ეს ჩიტი კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლია დაინა-

ხოს, როცა იგი მიფრინავს: თუ ქვიშაზე დაჯდა, ძნელი შესამჩნევია. ,,თუ ის მიწაზე სულ-განაბული ზის,'' — სწერს ერთი მოგზაური, — ,,მას თქვენ ვერ დაინახავთ, სანამ ფეხს არ დაადგამთ.''

უდაბნოს გველები, ხვლიკები და სხვა წვრილი ცხოველები — ყველა იმავე ყვითელ-რუხი ფერისანი არიან, როგორც ქვა და ქვიშა. ეს ფერი შემთხვევითი არ არის. ტეუილ-უბრალოდ როდი დაუჯილდოვებია ბუნებას ისინი ამ ფერით. არა, ეს ფერი ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელნიც ამ ცხოველებს მტრებისგან იცავენ: ამ ფერის გამო ძნელად დასანახავი ხდებიან და მტრების კბილს ადვილად გადაურჩებიან ხოლმე.

მფარველი ფერის მაგალითები ჩვენ გარშემოც ბევრია, მხოლოდ ცოტაოდენი დაკვირვებაა საჭირო.

ავიღოთ ბეღურა. ის არც წითელი, არც ლურჯია — რუხი ფერისაა. ეს ფერი ძისთვის ფრიად გამოსადეგია. როცა ბეღურას სძინავს, ესე იგი მაშინ, როცა მტერს ადვილად შეუძლიან იგი ხელში ჩაიგდოს, ხის შტოზე ფოთლებში მჯდომარე ჩიტის დანახვა არც ისე ადვილია: მიეკვრება ხოლმე ხის ტანსა ანუ შტოს და შორიდან ძნელი დასანახია, რადგან ბეღურა ხის ქერქის ფერისაა.

ეოვლად შეუძლებელია ჩამოვთვალოთ ყველა ცხოველები, რომლებსაც მფარველი ფერი აქვთ: იმათი რიცხვი აუარებელია. მფარველი ფერი განსაკუთრებული იშვიათი მოვლენა არაა ბუნების კალთაში: რაც უფრო დავაკვირდებით ბუნებას, რაც უფრო შევისწავლით მას, მით უფრო ნათლად დავინახავთ, რომ ეს ფერი ძალიან გავრცელებულია ცხოველთა-შორის, — თითქის საეოველთაო მოვლენაა.

აიღეთ ბუნების რომელი კუთხეც გინდათ და ცხოველთა ცხოვრება შეისწავლეთ; ეოველ ფეხის გადადგმაზე ახალ-ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითებს წაიწყებით იმ ცხოველებისას, რომელთაც მფარველი ფერი აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში იგი უფრო თვალსაჩინოა, ზოგიერთში კი—სუსტადაა გამოხატული.

ჩვენ კიდევ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს იმ ცხოველებისას, რომელთა მფარველი ფერი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ეს ცხოველები გვანან იმ საგნებს, რომელთა შორის ცხოვრობენ,—არა მარტო ფერით, არამედ თავიანთი სხეულის მოყვანილობითაც.

ცხოველთა უმეტესობა მცენარეთა შორის ცხოვრობს და ბევრი მათგანის სხეულის ფორმა მცენარეებს ემგვაგსება.

ცხელ ქვეყნებში ერთი შესანიშნავი ჰეპელა ბინადრობს, რომელიც ფრენის დროს ადვილ-შესამჩნევია იმიტომ, რომ ჭრელია. მაგრამ როცა ხის ან ბუჩქის შტოზე ზის, მისი გარჩევა ეოვლად შეუძლებელია, რადგან მჯდომარე ჰეპელას სხეულის მოხაზულობა ძალიანა ჰგავს გამხმარ ფოთოლს.

ხმელი ფოთლის მსგავსი ჰეპელა.

ამნაირად, როცა ფოთლის მსგავსი ჰეპელა ზის, სრულებით უხრუნველ-ეოფილია, რადგან მტრის თვალი მას ძნელად შენიშნავს.

არიან სხვა ჰეპელებიც, რომელთაც ეს შესანიშნავი თვისება აქვთ, მხოლოდ ისინი მწვანე ნედლ ფოთოლს ჰგვანან. არიან ისეთი მწერებიც, რომელნიც გვანან იმ მცენარეთა შტოს, რომელზედაც თავიანთ სიცოცხლეს ატარებენ. გარდა ამისა არიან მწერები, რომელნიც საშინლადა გვანან ხმელი მიწის ბელტს, ან ფრინველის განავალს. ერთი სიტყვით—ძნელია ვველა იმ მწერების ჩამოთვლა, რომელნიც

მწვანე ნედლი ფოთლის მსგავსიპეპელა..

გვანან იმ საგნებს, სადაც ცხოვრობენ და, ვფიქრობ, ეს საჭიროც არაა, რადგან ეგელა ეს მაგალითები ერთი თვისების გამომსატყველია, იმ თვისებისა, რომლის შემწეობითაც ცხოველები მტრის გაძჭრიას თვალებისაგან თავს იფარავენ.

ცხოველების მთელი რიგი, როგორც ზევითა ვიქვით, მტერს გაქცევით დაახწევს სოლმე თავს. ამ ცხოველებს, როგორც უკვე ვთქვით, შესაფერი უნარიც აქვთ, ესე იგი სწრაფი სირბილი შეუძლიათ; იმ ცხოველებისთვის კი, რომლებსაც მფარველი ფერი აქვთ, განსაკუთრებით კი იმათთვის, რომელნიც იმ საგნებს გვანან, სადაც ცხოვრობენ, ხიფათის დროს გაქცევა სრულებით საჭირო არ არის: ჰირიქით, ის მწერი, რომელიც ხმელი მიწის ჰაწაწა ბელტს ჰგავს, უკეთესს იზამს, თუ მტრის მიახლოებების დროს სრულებით არ გაინძრევა. რატომ?— იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში უფრო დაემსგავსება იმ საგანს, რომელსაც წააგავს. მიწის ბელტი ხომ არ ინ-



მცენარეთა შტოს მსგავსი მწერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრევა, არ ცოცავს? და მართლაც ბევრი მწერი მტრის მოახლოვების დროს გაქცევაზე სრულებითაც არ ფიქრობს; პირიქით—გაჩერდებიან, თავს მოიმკვდარუნებენ ხოლმე.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ თავის მომკვდარუნება ძლიერ წააგავს გაქცევას, რომელსაც ცხოველი მიმართავს ხოლმე განსაცდელის დროს. კურდღელს, მაგალითად, მტრის დანახვაზე გაქცევა ჩვეულებადა აქვს; პატარა ჭიაღუა კი თავს მოიმკვდარუნებს ხოლმე, რითაც შესამჩნევად ძლიერდება იმის მსგავსება იმ საგანთან, რომელსაც ის უიმისოთაც წააგავს.

გ. ანთელიძე.

(შემდეგი იქნება)

რებუსი.





მე-6 №-ში მოთავსებულ გამოცანების ალსნა:

1. ცოცხი. 2. ბროწეული.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**—ფასი. 30 კ.

2) **ტომის თავგადასავალი,**—თხზულება მარკ ტვენისა, ფასი . . . . . 50 კ.

3) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზულება ავენარიუსისა, ფასი . . . . . 20 კ.

4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. 1 მ. — „

5) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკკენსისა, ფასი. . . . . 25 კ.

6) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები**—ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა. ფასი . . . . 30 კ.

7) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . 60 კ.

8) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა ფასი . 15 კ.

9) **სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,**—ივანე ელიაშვილისა ფასი. . . . . 30 კ.

10) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა:**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . , . . 5 კ.

11) **შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,**—ნინო ნაკაშიძისა ფასი, ... 5 კ.

12) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

1912 წ. მიილეგა ხელის მოწერა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** – „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ყაუხჩიშვილათან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** - კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო ზაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან. **გორში** — ნინო დომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** – ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოკაძესთან **ერევანში** – კ ოდიშარიასთან, **სილნალში** – ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**